ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/243

ქ. თბილისი

23. 10. 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოყვანის (მობილობის) წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-8 და მე-9 მუხლების; "მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 22 ივლისის №245 ბრძანების; ამავე ცენტრის დასკვნების (№469814, 16.10.2013; №467044, 15.10.2013); ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI და VII თავების; მარიამ აბრამიძის განცხადებისა (№2/125, 04.09.2013) და ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის დამდგენი კომისიის დასკვნის; მარიამ ჩოქურის განცხადებისა და თანმხლები დოკუმენტების (№2/252, 07.10.2013); ამავე უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურის უფროსის ემილ კოპალიანის მოკვლევის; სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის დიმიტრი ნადირაშვილის წარდგინებისა (№1/1760, 09.10.2013) და სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის დამდგენი კომისიის დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ჩაირიცხონ მობილობის წესით ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან:

1.1. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)**

1.1.1. **აბრამიძე მარიამ** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის III სემესტრის სტუდენტი, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში საგანმანათლებლო პროგრამაზე "მათემატიკა", 42 კრედიტის აღიარებით, III სემესტრის სტუდენტად დარეგისტრირების უფლებით (სახელმწიფო დაფინანსება 0%);

1.2. **სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

1.2.1. **ჩოქური მარიამ** – საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის III სემესტრის სტუდენტი, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატში საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოლოგია", 0 კრედიტის აღიარებით, I სემესტრის სტუდენტად დარეგისტრირების უფლებით (სახელმწიფო დაფინანსება 30%);

1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბრძანება გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

2. სტუდენტების მობილობა აისახოს რეესტრში;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე